წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 1 აპრილი 1916 წ. № 73

I-262 ა 13013

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი [illegible] ღირება 40 კ. 4-ზე [illegible]. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

Библиотека

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.
უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღია დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—16)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

სასტუმრო „ავრორა“
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სისუფთავე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

1364

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი მ. გ. ვეფხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—15

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 30 მარტი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** მდ. დვინის და დვინსკის მიდამოებში თოფის და ზარბაზნების სროლაა. გუშინ მტერმა იკსკიულსკის მიდამოების სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინა. ლიუბინის მიდამოებში, პინსკიდან სამხრეთ-დასავლეთით ჩვენს მზვერავებს შეხლა მოუხდათ მტერთან. ოლიკის დასავლეთით და ჩრდილოეთით მტერმა მოინდომა ჩვენს თხრილებთან მოახლოვება და გამაგრება, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

კავკასიის ასპარეზი. აზრუმის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მტრის ახალი სიმაგრეები აიღო. ბითლისის მიდამოებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ურმიის ტბასთან, სამხრეთით, ქურთების რაზმები დავამარცხეთ და სამხრეთით უკან იხევენ.

—

პარიზი, 29 მარტი. საღამოს ცნობა. მდ. ენთან, დასავლეთით, ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა მტრის ძლიერი რაზმი, რომელიც შმენ-დე-დამისაკენ მოიწევდა. ნიშანში ამოღებულმა ცეცხლმა მტერს დიდი ზარალი მიაყენა. არგონებში ჩვენი ზარბაზნები ამოქმედდა მტრის მთელი ბრძოლის ხაზით. მდ. მაასიდან დასავლეთით, მორტომმ-კიუმერის ხაზით მტერმა საშინლად აახმაურა ზარბაზნები. ქვეითა ჯარს არ უბრძოლია. ზარბაზნის სროლის შემდეგ, რომლის ყუმბარებიც ცრემლებს იწვევდა, მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა დუომონ-ვოსთან თხრილებზე. მათ ცოტა ხნით შესძლეს წინ წაწეული ადგილების დაპყრობა, მაგრამ კონტრ-იერიშებით მტერი გავრეკეთ. აქ 100 ჯარის კაცი და ერთი აფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ. ვევრთან მულენვალის, ზონვოს და შატილონის მიდამოებში ზარბაზნებით სროლაა. სენ-მიელის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა შორს მტყორცნელმა ზარბაზნებმა მარჯვედ დაუშინეს მატარებელს, რომელიც ენიკურის სადგურის ჩრდილოეთით იდგა. სხვა ადგილებში სიწყნარეა.

პარიზი, 30 მარტი. ოფიციალი. დღის ცნობა. დღეს დილით, მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს, სადაც ცეცხლის წამკიდველ სითხეს ხმარობდნენ კორეტის ტყის და მორტომ-კიუმერის შუა. მტერი ყველგან მოვიგერიეთ. მთელი ღამის განმავლობაში მტერს იერიშები აღარ განუახლებია. ირკვევა, რომ ამ ადგილებში იერიში მტერს ძვირად დაუჯდა. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანელები ვილნოს მიდამოებში

„ბირჟ. ვედ.“ სწერენ: გერმანელები დიდ მზადებაში არიან ვილნოს მიდამოებში. სამხრეთიდან სამხედრო მატარებლები განუწყვეტლივ მოდის, საბარგო და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა სულ მთლად შეწყვეტილია. ვილნოში ავსტრიელ-გერმანელთა აუარებელ ჯარს მოუყრია თავი, აქ მრავალი სამხედრო შტაბია.

აღმოსავლეთი ასპარეზი.

„Daily Maie“ განიხილავს რა დვინსკის და პოლესიეს ჭაობებ შუა რუსის ჯარის დროებითს გამარჯვებას, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ბრძოლებში აღმოსავლეთ ასპარეზზე არ იღებდა მონაწილეობას დიდ რიცხოვანი ჯარი, რადგანაც ადგილობრივი პირობები ხელს არ უწყობდა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ასპარეზზე ბრძოლა დროებით უნდა შესწყდეს, რადგანაც წყალ-დიდობა ხელს უშლის. როგორც კი წყალ-დიდობა გაივლის, აღმოსავლეთ ასპარეზით დიდი ბრძოლები დაიწყება.

მდგომარეობა ლიდასთან.

ლიდიდან გამოქცეულები გადმოგვცემენ: გერმანელები ლიდას ანთავისუფლებენ. აქეთან გადაიტანეს სამმართველოები, სამხედრო იარაღი. მცხოვრებნი სახლ-კარს თავს ანებებენ და ქალაქიდან გარბიან.

ქალაქი სამხედრო ბანაკათ არის გადაქცეული, გარშემო თხრილებს ამზადებენ, მის მიდამოებში კი ზარბაზნებს სდგამენ.

მოლოდეჩნოზე თავდასხმა.

მოლოდეჩნოს მიდამოებში და ქ. ვილეიკაში გერმანელთა მფრინავები გამოჩნდნენ, რიცხვით რვა. რუსები ზარბაზნით შეჰხვდნენ, მაგრამ ჰაეროპლანებმა მაინც მოასწრეს მრავალი ყუმბარის ჩამოყრა.

გერმანელთა ჰაეროპლანი.

გაზაფხულდა თუ არა გერმანელებმა ჰაეროპლანები აამუშავეს. მინსკის გუბერნიას მალ-მალე ეწვევიან ხოლმე და ყუმბარებს უშენენ ნიშანში ამოღებულ ადგილებს. თუმცა გერმანელთა ჰაეროპლანები შემოდგომაზეც მოქმედებდნენ, მაგრამ ეხლა მათი რიცხვი გამრავლდა და ყუმბარებსაც არა ზოგვენ. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის ცნობით, გერმანელების მფრინავები უფრო პოლესიეში ამოქმედდნენ, დასახლებულ ადგილებში, ლუნინეცს თავს დაესხა ათ ჰაეროპლანამდე და მრავალი ყუმბარა ჩამოჰყარა. დაბა სინიავკაშიც ჩამოჰყარეს ყუმბარები. რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრებნი დაიჭრა.

გერმანეთის შტაბის ცნობა.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანელთა შტაბის ცნობით არგონებში და მაასის მიდამოებში დაუცხრომელი საარტილერიო ბრძოლაა. მაასის მარცხენა ნაპირზე ფრანგებმა გოკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით იერიშები მოიტანეს და სცდილობენ ამ ადგილებში გამაგრებას. ფრანგების შეტევას ადვილად ვაჩერებთ. მტრის იერიშები დუომონის სიმაგრესთან და ლაკაიეტის ტყესთან ფართოვდება. ლოტარინგიაში და ელზასში მზვერავთა რაზმების შეტაკებებია.

ვერდენთან ბრძოლა.

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით, ვერდენთან ბრძოლამ ამ უკანასკნელ დღეებში სულ ახალი ხასიათი მიიღო. ფრანგების სამხედრო პირები აღნიშნავენ, გერმანელებმა ახლად დაიწყეს ვერდენთან შეტევა. ეს ახალი შეტევა უფრო მკაცრია და მოგვაგონებს ვერდენთან პირველ დღეების ბრძოლას.

გერმანელებმა ძველი ზარბაზნები შესცვალეს ახალით და ვერდენთან მძიმე ზარბაზნები მოაგორეს, ჯარიც შეავსეს. დუომონ-ვოსთან 15 ათასი გერმანელი იღებდა მონაწილეობას. გერმანელებმა თუმცა წინ წაიწიეს, მაგრამ დიდძალი ჯარი დაჰლუპეს.

გაზეთების აზრი გერმანეთის კანცლერის სიტყვის შესახებ.

კანცლერის სიტყვამ ბერლინში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ ბეტმან-ჰოლვეგის სიტყვა ყველას ერთნაირად არ ესმის. აი რა აზრს გამოსთქვამს ამის შესახებ პრესა:

„Berliner Tageblatt“-ი კანცლერის სიტყვაში ჰხედავს გერმანეთის მომავალს. მას მხოლოდ მკაფიოდ არ ესმის კანცლერის განცხადება ბელგეთის შესახებ. გაზეთი მოწიწებით იხსენიებს კანცლერის სიტყვის იმ ადგილს, სადაც უმწეოთა და ღატაკთა დახმარებაზე ლაპარაკობდა.

„Lokal-Anzeiger“-ი ამბობს: ომის მიზანი, რომელიც კანცლერმა წამოაყენა, იმდენად ხელმისაწდომია, რომ გერმანეთის მტრებმა უნდა განგაში შეაჩერონ იმის შესახებ, ვითომც გერმანეთს უნდოდეს ქვეყნის დაპყრობა. გაზეთის აზრით, კანცლერის სიტყვა ისტორიულ სიტყვად ჩაითვლება, რადგანაც მტრებმა გაიგეს, თუ როგორ დაუჯდებათ ზავის ჩამოგდება.

„Vossische Zeitung“-ი აღნიშნავს: ჩვენი მიზანია გერმანეთის მშვიდობიანი ცხოვრება მომავალში უზრუნველვყოთ. კანცლერის აზრით, ჩვენმა მეზობლებმა ჩვენთან უნდა იმუშაონ და არა ჩვენს წინააღმდეგ. ამ მიზნით იგი თანახმაა ბელგეთი და ჩრდილოეთ საფრანგეთი გაანთავისუფლოს, თუ კი რასაკვირველია დარწმუნებული იქნება გერმანეთის მყუდრო ცხორებაში.

„Vorwärts“-ი აზრით, კანცლერის სიტყვა, მოკავშირეთა შორის, განსაკუთრებით რუსეთში დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. გაზეთის აზრით, გერმანეთს შეუძლიან იმაზე მეტი მოითხოვოს, რაც კანცლერმა აღნიშნა.

ბალკანეთის ასპარეზი.

ათინიდან მოსული ცნობების მიხედვით ტყუილად უნდა ჩაითვალოს გავრცელებული ხმები, ვითომც საბერძნეთის მემკვირდე სოფიაში და სტამბოლში მონარქებთან მოსალაპარაკებლად გამგზავრებულიყოს.

სოლუნიდან ცნობა მოვიდა: ახლომახლო ადგილებიდან ხალხი იხიზნება. ცნობები, ვითომც გერმანეთის ჯარს მაკედონიაში თავი მოეყაროს, ტყუილი გამოდგა. მოკავშირეებმა ზოგიერთა ადგილები დასტოვეს და უკან დაიხიეს. გევგელის მიდამოებში მტრის ჯარის შეჯგუფება ხდება. გერმანელები და ბულგარელები ირწმუნებიან, გევგელის მიდამოები ბრძოლის ასპარეზად გადაქცევაო.

ჰოლანდია.

ჰააგიდან იტყობინებიან: ჰოლანდიის მდგომარეობა დღემდე გამოურკვეველია. არავინ არ იცის ვის წინააღმდეგაა მიმართული ჰოლანდიის მზადება. პარლამენტის სხდომის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს სხდომა მოხდა, რომელსაც დედოფალი დაესწრო. მინისტრთა თავმჯდომარემ სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებთან და სამხედრო პირებთან ითათბირა.

გერმანელი მფრინავები.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გერმანელთა ჰაეროპლანებმა, რომლებიც ამ ბოლო ხანს სალონიკს თავს დაესხნენ, ქალაქში ათას ყუმბარამდე ჩამოჰყარეს. მრავალი სახლია დანგრეული.

საბერძნეთი და მოკავშირენი.

ჩვენ მოხსენებული გვქონდა: საბერძნეთმა, ეპირის დაპყრობის შესახებ, პასუხი გასცა იტალიას, საფრანგეთს, ინგლისს და რუსეთს, სადაც აღნიშნავდა, რომ დაპყრობას დროებით ხასიათი აქვს და მოკავშირეებმა ეს ზომა მტრულ განზრახვად არ უნდა ჩამოართვანო.

საბერძნეთის ამ გვარმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა მოკავშირენი და მკაცრი კილოთი შედგენილი ახალი შეკითხვა გაუგზავნეს საბერძნეთს. ამის პასუხად საბერძნეთი სთხოვს მოკავშირეთ მიუთითონ იმაზე თუ, როგორ მოწესრიგდეს ეპირის საკითხი.

საბერძნეთის ახალი განცხადება საშუალებას იძლევა მშვიდობიანად გადიჭრას ეპირის საკითხი; თუმცა საქმე იმით გართულდა, რომ საბერძნეთის მთავრობა აჩქარდა და ეპირის მართვა-გამგეობა თავისი ნებით მოაწყო, ამის გარდა ეპირში მცხოვრებლებს ნება დართეს საბერძნეთის პარლამენტში წარმომადგენლები გაგზავნონ. არჩევნები უკვე მოხდა და პარლამენტმა უკვე დაამტკიცა.

მდგომარეობა რუშჩუკთან.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რუშჩუკში დიდძალი გერმანელი და ავსტრიელი ჯარი მოიყვანეს. აქვე გერმანეთიდან გადმოზიდეს დიდძალი ზარბაზნები და ავტომობილები ოსმალეთში გადასატანად.

დეპეშები

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

ინგლისურ გაზეთის „ტაიმსი“-ს სამხედრო მიმომხილველი ირწმუნება: დიდი ოპერაციები რიგა-დვინის ასპარეზე აპრილის ნახევრიდან დაიწყებაო. ამავე დროს რიგის სრუტე სრულებით თავისუფალი იქნება ყინულისაგან.

—

მოსკოვის გაზეთებს ატყობინებენ: ტრაპიზონში მეციხოვნე ჯარის რიცხვი 90 ათასს უდრის. ოსმალებმა ბევრი ახალი ზარბაზანი მოიტანეს.

—

მთელი გერმანეთის პრესსა ერთხმად მოითხოვს, სოციალ-დემოკრატების ცნობილი ბელადი ლიბკნეხტი სულით ავადმყოფად გამოაცხადეთო.

—

პარიზში დიდი მოძრაობაა. ხალხის მღელვარება უაღრეს წერტილს აღწევს. რესპუბლიკა განსაცდელშია. პარიზელების დღევანდელი სულიერი განწყობილება ნაპოლეონის კულტისაკენ იხრება.

—

„ტაიმსი“ სწერს, კუტელემარში ალყა შემორტყმულიინგლისელთა ჯარი დიდს ხიფათშია ჩავარდნილი. მისი დახსნა მხოლოდ ინგლისელთა მაშველ ჯარებს შეუძლიანთ. მაგრამ ესენი მოკლებული არიან ყოველგვარ საშუალებას წინ გზა გაიწალდონ.

—

საფრანგეთის რესპუბლიკა ვატიკანს შეურიგდება და ერთმანეთთან თავ თავის ელჩები გაამწესეს.

—

გენერალ ტრეპოვს დაევალა დაწვრილებით გაეცნოს ფინლიანდიის მდგომარეობას კუროპატკინისთვის საგანგებო მოხსენების წარსადგენად.

—

სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო აღწერა ივნისში მოხდება.

—

სამხედრო სამრეწველო ცენტრალმა კომიტეტმა საოლქო კომიტეტს წინადადება მისცა გამოზოგვით იხმარონ საკანცელიარიო ქაღალდი.

გ. ვ.

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

დანიაში ფარულად სწარმოებს სამხედრო სამზადისი. ზღვის სანაპიროებს სწრაფად ამაგრებენ.

—

საბერძნეთში თანდათან თავს იჩენს მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ მოძრაობა სხვა და სხვა ადგილას მანიფესტაციები მოხდა.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დანიშნული გრ. ბობრინსკი უარს ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც მას სახალხო განათლების მინისტრად იწვევდნენ.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ციურიხში სულ მოკლე ხანში გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთიდან ჩამოიტანენ შვეიცარიისთვის 15 დიუმიან მძიმე გაუბიცებს და ყუმბარებს.

ლ. ჯ.

—

(პეტროგ. სააგენ. დეპეშ.)

დასავლეთით გერმანელებმა დუომონ-ვოს ხაზით მკაცრი იერიში მიიტანეს და წინ წაწეული ადგილები დაიპყრეს; მაგრამ ფრანგებმა კონტრ-იერიშით მტერი უკუაგდეს.

—

მაასის მარცხენა მხარეზე ზარბაზნის საშინელი სროლაა.

—

დვინის მიდამოებში ზარბაზნის და თოფის სროლაა.

—

გერმანელები იკსკიულსკის მიდამოების სიმაგრეებს ზარბაზნებს უშენენ.

—

კავკასიის ასპარეზზე, ბითლისის მიდამოებში, რუსებმა მტრის იერიშები მოიგერიეს.

—

გევგელის მიდამოებში ზარბაზნის გაცხარებული სროლაა.

—

ათინიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა გემებს, რიცხვით 80, მოწერილობა მოუვიდათ თვალყური ადევნონ ეგეის, იონიის და ხმელთა შუა ზღვებს.

—

იტალიის ჯარმა ხიმარის გზით წინ წაიწია და ეპირის ჩრდილოეთ ადგილებში გამაგრდა. ლორენცო მარკეზედან იტყობინებიან: პორტუგალიის ჯარმა, 28 მარტს, გერმანეთის აღმოსავლეთ აფრიკაში ვიონგუ დაიპყრო.

—

ლოიდი იტყობინება: გერმანელებმა იტალიის გემი „უნიონე“ ჩასძირესო.

ბრძოლის ველზე

ვერდენთან გერმანელებმა, ახალ ცნობების მიხედვით, ფართო შეტევას მიჰმართეს 20 ვერსის მანძილზე. ამ იერიშების ნაყოფი ფრიად მნიშვნელოვანია. მათ საკმაოდ შეანგრიეს პირველ რიგის მთავარი სიმაგრენი. ეხლა მათს ხელშია ისეთი სახელოვანი მაღლობები, როგორიც არის „265“ და „295“, ამ გზით მთავარ ციხეს—კიუმიერის მაღლობს—უკვე $4\frac{1}{2}$ ვერსით მიუახლოვდნენ: ამ მაღლობთა ხელში ჩაგდებით გერმანელთ თავისუფლად შეუძლიანთ ამ ახლო მომავალში გადასჭრან რკინის გზა, რომელიც ვერდენიდან პარიზში მიდის. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დღეებიდან მატარებლების მიმოსვლას საქმეს გაუჭირვებენ გერმანელები. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ადამიანმა. როგორც წინა დღის ცნობებით ვიცით, გერმანელებმა ფართო შეტევა ვერდენზე 26 მარტს დაიწყეს, გავიგეთ ისიც, რომ მნიშვნელოვან მაღლობთა დაკარგვის შემდეგ მორტჰომის სიმაგრისკენ გერმანელებმა 500 ადლით წაიწიეს და თვითონ მორტჰომის ნაწილიც იგდეს ხელთაო. დღევანდელ ცნობებში აღარა ისმის რა მორტჰომზე. სამაგიეროდ ყრუდაა ნათქვამი, „დღეს მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს და ცხელი სითხე მოიხმარეს; მათი იერიშები უმთავრესად მიმართული იყო კორეტის ტყეში მორტჰომისა და კიუმიერის შუა... იერიში მოუგერებიათ, მაგრამ ეს კი არ არის საინტერესო, არამედ ის, რომ ეს იერიში მორტჰომისა და კიუმიერის შუა მომხდარა. როგორ გავიგოთ: მაშ მორტჰომიც აღებულია? შესაძლებელია აქ ისეთსავე მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორიც მოხდა მაღლობ „265“-ის შესახებ, რომლის დაკარგვის ამბავიც მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გავიგეთ.

ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა სერიოზულია. რკალი სიმაგრეებისა ნელ-ნელ ირღვევა. ციხე-სიმაგრე დღითი-დღე გერმანელთა ხელში გადადის. ფრანგთა მთავარ შტაბს იმით მაინც შეუძლიან ინუგეშოს, რომ ციხის სახელოვანმა დამცველმა გენერალმა პეტენმა ჩინებულად შეასრულა მოვალეობა და გერმანელთ ძვირად დაუსვა ყოველი ნაბიჯი.

დანარჩენ ასპარეზებიდან პირადად ჩვენთვის, ქართველ მკითხველისთვის, თქმა არ უნდა, კავკასიის ასპარეზია. აქედან დეპეშები ისეთი აღფრთოვანებულის კილოთი აღარ მოგვითხრობენ გამარჯვებას, თუმცა სააგენტო რაღაც მოსაზრებით სდუმს და პუნქტობით არ აღნიშნავს თუ სახელდობრ სად იწევს კავკასიის სახელოვანი ჯარი, რა ადგილას არის. ერთია კიდევ საყურადღებო. ამ დღეებში ტრაპიზონთან „ბრესლაუს“ გამოსვლის შემდეგ ერთხანად დიდი ჩოჩქოლი ასტყდა, რომელიც მალევე მიყუჩდა. ახლა, როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი იუწყება, ამ ნავთსადგურის მეციხოვნე ჯარი 90 ათასი კაცისაგან შესდგებაო. გადმოგვცემენ იმ ამბავსაც, რომ შავი ზღვის ფლოტი, მართალია, საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ოსმალებს წყალქვეშათა ქარავნის შემწეობით, როგორც სჩანს დესანტის გადასხმა მოუხერხებიათ თუ ტრაპიზონში არა, მის მახლობელ ნავთსადგურში მაინც. ყველა ეს ყრუ ცნობები კერძო კორესპონდენტთა რაოდენადმე გასასამართლებელ საბუთს ჰპოვებს. როგორც ვიცით, რუსთა მხედრობის მსვლელობა აგერ ორი თვე მეტია რაც ასე თუ ისე შეჩერებულია ამ სანაპიროებზე და ისეთის ელვის სისწრაფით აღარ განვითარდა, როგორც აზრუმის დამხობის დროს, თუმცა ტრაპიზონს ჯერ კიდევ პირველ კვირებშივე აზრუმის ეპოპეის შემდეგ 40 ვერსზე მიუახლოვდნენ.

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე მიმართულებით შეჩერება. ერზინჯანის მიმართულებაზე მოგახსენებთ. აქეთ, როგორც ვიცით, პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა ასტყდა, როდესაც მამახათუნი და კოტური აიღეს. ყველა ეს ერზიჯან-სივა-ანგორის გასაღებია და მალე მნიშვნელოვან ამბებს უნდა მოველოდეთო. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ერთი თვის წინად, რაც მამახათუნი და კოტური აიღეს, წინსვლაც შეჩერებულ იქმნა. სხვათა შორის სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთობა ალაპარაკდა ამ ამბავზე და ჯერ მაშინ ყრუდ გაისმა ხმა, ამ მიმართულებით კავკასიის ჯარს ასი ათასი ოსმალო გადაეღობაო. რამდენად მართალი იყო ეს ამბავი, არ ვიცით, ის კი აშკარაა, რომ შემდეგ წინსვლა რუსთა მხედრობისა ამ მიმართულებით შეიყინა.

მაგრამ ამ ორი დღის ცნობების მიხედვით ყველაზე საგულისხმიერო ისევ ბითლისია. ამ მესოპოტამიისა და სპარსეთის გასაღების აღება დიდის ამბით იდღესასწაულა რუსის მხედრობამ და სამართლიანადაც. აქედან რუს მხედრობას მეტი თავისუფლება ეძლეოდა სამოქმედოთ. ეს იგრძნეს ოსმალებმაც და ამიტომაა, რომ არც ამ მიმართულებით განავითარებინეს პირველ ხანად სწრაფად აფრიალებული გამარჯვების დროშა. როგორც ირკვევა, ბითლისის რაიონის სამხრეთით ოსმალთ შეუჩერებელი იერიშები მოაქვთ. ურმიის მხრით ქურთთა შეიარაღებული ბრბო მთის კალთებიდან თავს ესხმიან მიმავალ ჯარს და პარტიზანულ ბრძოლით საქმეს უჭირვებენ. ცხადია, ოსმალნი აქ შეერთებულ ხიდად უნდა ჩაითვალონ ბითლისისა და ხანექენის რაიონის ოსმალთა ჯარებისა, ესენივე ერთგვარ მზვერავთა როლს ასრულებენ ამ ბრძოლაში. გათამამება ოსმალთა ჯარებისა ამ მხარეზე ნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბაღდადის გზით კიდევ კარგათ უსარგებლნიათ, სტამბოლიდან ჯარები რკინის გზით ბლომად მოუყვანიათ, ასე რომ იერიშებზეც კადნიერდებიან, როგორც აქეთ, ბითლისით მიმავალ ჯარის დასახვედრად, ისე მეორე მხარეს, კუტთან გენერალ ელმერის ინგლისელთა ჯარების საწინააღმდეგოდ, ამის შესახებ უკვე ცნობა იყო ინგლისელთა მთავარი შტაბისა, რომ ოსმალებმა იერიშებს აქაც მოუხშირეს, ოპერაციის შეტრიალება ჩვენც ვცადეთ, მაგრამ ნიაღვრებმა ხელი შეგვიშალაო.

მაგრამ ვიდრე დაწვრილებით შევეხები მდგომარეობის გამორკვევას, საჭიროა სტრატეგიულ მნიშვნელობის თვალსაზრისი ვიცოდეთ, თუ საით რა გზა მიდის, სად როგორი მდგომარეობაა, რის შესახებაც მორიგ მიმოხილვაში ვისაუბრებთ.

X

თბილისი, 1 აპრილი.

საერობო თათბირი. ამ მოკლე ხანში თბილისში საერობო თათბირი დაიწყება და ადგილობრივი პრესაც საერობო პლატფორმის გამორკვევას შეუდგა. მმართველმა წრეებმა გვაგრძნობინეს, რომ ჩვენს ქვეყანასაც დაახლოვებით ისეთს ერობას მისცემენ, როგორიც რუსეთშია. მაშასადამე მომავალი თათბირის მუშაობაც შემოიფარგლება რუსეთში არსებულ საერობო კანონმდებლობით. მხოლოდ 1890 წ. კანონისამებრ კავკასიის მომავალ საერობო დებულებაში ცვლილებებს შეიტანენ ადგილობრივ პირობების მიხედვით. ადგილობრივი განსაკუთრებული პირობები გამოურკვეველი ცნებაა და მომავალ თათბირის მონაწილეთ სიფრთხილე ჰმართებთ, რომ ისეთი რამე არ მოითხოვონ, რის განხორციელება-დაკმაყოფილებაც დიდს დროს და მუშაობას მოითხოვს. ჩვენთვის საერობო თვითმართველობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და თუ მომქმედ საერობო კანონის შესწორებები ერობის შემოღებას დიდი ხნით გადაგვიდებს, ჩვენც უნდა მივიღოთ პროექტი ყველა იმ ნაკლულევანებით, რომელიც რუსეთის ერობას ახასიათებს.

რუსეთში მომქმედი 1890 წ. საერობო კანონი ორს საერობო ერთეულს აღიარებს, სამაზროს და საგუბერნიოს. ეს საერობო ერთეულები სავსებით ეთანხმება სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრატიულ დანაწილებას. ვორონცოვ-დაშკოვის დროს მომხდარმა საერობო თათბირებმაც სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრატიულ ერთეულებზედ ააგო კავკასიის საერობო პროექტები. სომხურმა წრეებმა ასეთს ნიადაგზედ აგებული ერობა თავისთვის საზიანოდ აღიარეს და მათის მეცადინეობით ვორონცოვ-დაშკოვის საერობო პროექტში, საგუბერნიო ერობის ნაცვლად, სრულიად კავკასიის საერობო ერთეული იქმნა შეტანილი. ეს პროექტი, როგორც ცალმხრივი გავლენის ნაყოფი, კავკასიის განახლებულმა მმართველობამ უარჰყო და მომავალ საერობო თათბირს საფუძვლად ისევ რუსეთში მომქმედი კანონმდებლობა დაუდო, მასალად კი გამოიყენებს წინანდელ საერობო თათბირთა ნამუშევარს. ვორონცოვის პროექტთან ერთად ადმინისტრატიულ გადამიჯვნის საკითხი არ დაიმარხა და, საერობო თათბირის დაწყების წინ, სომეხთა მისწრაფებათა გამომხატველი „კავკაზსკოე სლოვო“ ამ საკითხს კიდევ ანახლებს, თუმცა მორცხვად.

გაზეთი აუცილებელ საჭიროებად აღიარებს მმოქმედ საერობო კანონმდებლობის შეცვლას და თხოულობს რომ პირველ საერობო ერთეულად აღიარებულ იქმნეს არა მაზრა, არამედ უფრო მცირე ნაწილი და ეროვნებათა მიხედვით ერთგვარი გადაჯგუფება მოხდეს. „კავკაზსკოე სლოვო“ ამასთანავე აღიარებს, რომ ეს მათი მოთხოვნილება არ შეეხება საქართველოს, სადაც ეროვნული მოსახლეობა სავსებით ეთანხმება ადმინისტრატიულ დანაწილებას. გაზეთს მხედველობაში აქვს ერევნისა, განჯის გუბერნია და ყარსის ოლქი, სადაც სომხები და თათრები შერეულად მოსახლეობენ. თუ ამ გუბერნიებში საერობო კანონმდებლობის ერთეულები უცვლელად დარჩა, გაზეთის აზრით, სომეხთა ინტერესები დაიჩაგრება თათრების სასარგებლოდ.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიკისრებთ სხვის საქმეში ჩარევას, თუნდაც საკითხი ნათელიც იყოს. დარწმუნებული ვართ, საერობო თათბირი, რომელიც მის იმპერატორობითის უმაღლესობის თავმჯდომარეობით დაიწყებს მუშაობას 26 აპრილს, ყველა ეროვნებების სამართლიან მოთხოვნილებას ანგარიშს გაუწევს. თუ „კავკაზსკოე სლოვო“ მართლაც და სომხის ხალხის სამართლიან და ნამდვილ ინტერესებს გამოჰხატავს, როდესაც საერობო კანონის შესწორებას მოითხოვს, ის უთუოდ სრულის თანაგრძნობის ღირსია. ის კია მხედველობაში მისაღები, რომ საერობო კანონის ისეთი შესწორებები, როგორიც ადმინისტრატიულ ერთეულების გადამიჯვნაა, კავკასიაში ერობის შემოღებას დიდის ხნით გადასდებს. მომავალი თათბირი, იმედი უნდა ვიქონიოთ, თანაგრძნობით შეხვდება კავკასიაში მცხოვრებ ერთა სამართლიან სურვილებს და უპირველეს ყოვლისა ყველა ამ ეროვნებათა ინტერესებს, რათა ერობა ჩვენს ქვეყანაში დაუყონებლივ იქმნას შემოღებული.

—

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქარ.“ № 72)

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მიჩნეულ ქვეყნის ეკონომიურისა და მოქალაქობრივი განვითარებისათვის **ფოსტა-ტელეგრაფის**[1] მდგომარეობას, რომელიც, თუ გნებავთ, საუკეთესო სარკეს წარმოადგენს ცხოვრების მოძრაობისას.

	1899 წ.	1900 წ.	1901 წ.	1902 წ.
საფოსტო და სატელეგრაფო კანტორა	10	10	12	იგივე რიცხვი
საფოსტო და სატელეგრ. განყოფილება	10	10	9	
მხოლოდ საფოსტო განყოფილება	3	4	5	
მხოლოდ სატელეგრაფო კანტორა	1	1	1	

1900 წ. საფოსტო განყოფილების წინა წლის რიცხვს (ლანჩხუთსა, ჩოხატაურსა და აბაშაში) მიემატა კიდევ ერთი ტყიბულში; 1901 წ. წინა წლის საფოსტო და სატელეგრაფო განყოფილებები (ართვინსა, ბორჩხასა, ხონსა, ონსა, უწერასა, ჭიათურასა, ჩურუქ-სუსა, ახალ-სენაკსა, ნატანებსა და სამტრედიაში) და ახალსენაკში და ჭიათურაში გარდაქმნეს იმავე საგნის კანტორებათ, ამით მიემატა წინა წლის კანტორებს[2] ორი ახალი კანტორა. იმავე წელს გაიხსნა გაგრაში ერთი საფოსტო და სატელეგრაფო ახალი განყოფილება (სულ 9) და ერთი საფოსტო განყოფილება დ. სადმელში (სულ 5). სატელეგრაფო კანტორის რიცხვი (არდანუჩში) უცვლელად დარჩენილა. ყველა ამ კანტორათა და განყოფილებათა წარმოების დავარობა და რაოდენობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

	1899 წელს.	1901 წ.
შემოსავალი	301.712,70 მან.	331.399 მან.
გასავალი	205.863.70 მან.	143.244 მან.
წმინ. მოგება	95.849 მან.	188.155 მან.
	1900 წელს.	**1902 წ.**
შემოსავალი	330.041.96 მან.	363.608 მან.
გასავალი	132.443.00 მან.	137.915 მან.
წმინ. მოგება	197.598 მან.	225.693 მან.

უკანასკნელს ციფრს უნდა გამოვაკლოთ კიდევ 27.354 მან. რაიც დაიხარჯა საფოსტო ტრაქტებზე[3]) და დარჩება სულ წმიდა მოგება 198.328 მან. რაიც დარჩა 1902 წ. ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობას ნაცვლად მის მიერ მოქალაქობრიობისათვის გაწეულ სამსახურისა. გარდა 1901 წლისა, ფოსტა-ტელეგრაფის მომგებიანობა, როგორც მოყვანილი ციფრები გვაუწყებს, წლიდან წლამდი იზრდებოდა. რომ დაუპირდაპიროთ 1899 წლის მომგებიანობა 1902 წლის მომგებიანობას დავინახავთ რომ უკანასკნელი გაზრდილა მთელი 107%-ით.

1903 წ. წყაროები იძლევიან საიმედო გარკვეულ ცნობებს მხოლოთ შვიდი მაზრისათვის ე. ი. ქუთაისის გუბერნიისათვის, სადაც მთელი შემოსავალი უდრიდა 165.482 მან. გასავალი 664.51 მან. წმიდა მოგება კი 99.031 მან. ე. ი. ამ წელს დასავლეთ საქართველოს მხოლოდ შვიდ კუთხეს 3,21%-ით უფრო მეტი მოგება მიუცია ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობისათვის ვიდრე მთელს დასავლეთ საქართველოს 1899 წ. ფრიად საინტერესო ცნობები გვაქვს 1903 წ. საფოსტო წარმოების დასახასიათებლათ:

სახელები გაგზავნილებისა.	ფოსტამ წაიღო რამდენი ცალი.	ფოსტამ წაიღო საფასურით ანუ ღირებულების.	ფოსტამ მოიტანა რამდენი ცალი.	ფოსტამ მოიტანა საფასურით ანუ ღირებულობის.
ფულიანი და ფასიანი პაკეტები	30,006	5.059,545 მ.	36,283	8.240,324 მ.
ფული ფოსტით და ტელეგრაფით	68,568	2.274,419 „	40,161	1.843,448 „
ფასიანი ამანათები	8,584	3.740,351 „	24,322	2.772,347 „
ფასდადებული ნივთები	1,062	22,784 „	16,122	158,405 „
უფასო ამანათები	22	—	11,934	—
დაზღვეული წერილები	13,796	—	118,666	—
პერიოდული გამოცემანი	11,244	—	779,246	—
უბრალო ბანდეროლები	16,955	—	173,300	—
დახურული წერილები	40,999	—	1.477,917	—
ღია ბარათები	12,934	—	168,355	—
ტელეგრამები	80,691	—	89,387	—
ს უ ლ	365,552	11.097,099 „	2.735,393	13.014,524 „

ეს ციფრები გვაუწყებს, რომ დასავლეთ საქართველოს ჩაუბარები გასაგზავნათ თერთმეტ მილიონზე მეტის ღირებულება, ფოსტას კი მოუტანია დასავლეთ საქართველოში (ვგულისხმობთ მხოლოდ შვიდ მაზრას) ცამეტ მილიონზე მეტის ღირებულება ე. ი. ხსენებული მხარე უფრო მეტს ღებულობს ვიდრე აგზავნის. ეს ზედმეტობა გამოიხატება 1.917.425 მან. რაც შეადგენს $17_{,27}$%-ს—ამდენათ უფრო მეტს ღებულობს ეს მხარე, ამდენათ იყო ის დამოკიდებული გარეშე მხარესაგან 1903 წ. მხოლოდ საფოსტო დაწესებულებათა მიერ წარმოებულ ეკონომიურ დარგებში. თუ რა ურთიერთობაში იყო დასავლეთი საქართველო გარეშე მხარეებთან, ამის გასაშუქებლად უნდა მივმართოთ იმ ცნობებს, რომელთაც გვაწვდის ჩვენ ფოსტისა და ხაზინის მართველობა.

ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ხაზინებში.

წლები.	ხაზინამ მიილო გადასაგზავნათ მანეთები.	კაპ.	გამოსყიდულ იქმნა უცხო კას. საგზავნ.მან.	კაპ.	რამდენათ მეტი იქმნა გამოსყიდული მანეთ.	კაპ.	რამდენათ მეტი იქმნა მიღებული მანეთები.	კაპ.
1898	5.269,069	76	5 383,937	32	114,867	56	—	—
1890	8 391,866	11	9.973,995	24	1.582,129	13	—	—
1900	7.887,516	41	11.472,569	59	3.585,053	18	—	—
1901	6.887,912	20	10.050,296	43	3.162,384	23	—	—
1902	7.846,249	65	12.495,044	17	4.648,794	52	—	—
1903	7.916,457	36	13.200,931	95	5.284,475	59	—	—

ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფებში.

წლები.	ფოსტამ წაილო გარდასაგზავნათ მანეთები.	აპ.	ფოსტამ მოიტანა ჩასაბარებლად მანეთები.	კაპ.	რამდენათ მეტი წაილო მანეთები.	კაპ.	რამდენათ მეტი მოიტანა მანეთები.	კაპ.
1898	742,340	02	569,518	90	172,821	12	—	—
1899	1.604,629	13	1.331,088	15	273,540	98	—	—
1900	2.269,592	98	1.885,997	14	383,595	84	—	—
1901	2.752,296	62	2.299,637	24	452,659	38	—	—
1902	3.554,364	24	3.046,481	82	507,882	42	—	—
1903	4.323,801	30	3.474,991	28	848,910	02	—	—

ეს ცხრილი ცხადათ გვიჩვენებს თუ რამდენათ ყოფილა დავალებული დასავლეთი საქართველო აღნიშნულ წლებში. სავალდებულო გასაგზავნისის ღირებულება წლიდან-წლამდე იზრდება; ხუთი წლის განმავლობაში 1899—903 წ. ჩაბარებულის რაოდენობასთან შედარებით გადაგზავნილის ზედმეტი რაოდენობა აღწევს $848.910_{,02}$; მაშასადამე უკანასკნელ ხუთიოდე წლის განმავლობაში $210_{,33}$%-ით უმატნია; სრულებით ანალოგიურია ხაზინის წარმოების ძირითადი ხასიათი, აქაც გარეშე მხარეებისათვის სასარგებლო ზედმეტობა გამოიხატება $234_{,00}$%-ით (1899—1903 წ.). კიდევ მეტი. დასავლეთ საქართველოში გამოსყიდულ იქმნა უცხო ვექსილები შემდეგი ღირებულებისა:

1898 წ. 881 ც. 214.452 მ. 83 კ-სა
1899 „ 4.112 „ 1.069.707 „ 40 „
1900 „ 5.901 „ 1.580.937 „ 81 „
1901 „ 8.519 „ 2.246.486 „ 90 „
1902 „ 10.485 „ 2.755.914 „ 71 „
1903 „ 14.344 „ 3.712.369 „ 37 „

ვისაც უნარი შესწევს ციფრების კითხვისა, ვინც გავარჯიშებულია, მას კომენტარიები აღარ დასჭირდება. დასავლეთ საქართველოს მიერ გამოსყიდულ უცხო ვექსილების ღირებულების რაოდენობა ხუთი წლის განმავლობაში მთელი $246_{,20}$%-ით გაზდილა; თვით ვექსილების რიცხვი კი $248_{,83}$%-ით, რაც იმას მოწმობს რომ ხსენებულ ოპერაციებს წვრილი წარმოების ხასიათი ქონიათ, რომ მსხვილ კონცენტრაციას ჯერ თავიც არ უჩენია სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, რომელთაც ეხება ხსენებული ოპერაციები. ეს დარგები კი გადაჭარბებულ უმეტესობით რუსეთიდან შემოტანილი ფაბრიკატებია. თუ ციფრები ერთის მხრივ აღნიშნულ დამოკიდებულებას მოწმობენ ეკონომიურათ, კულტურულათ იგივე ციფრები საუკეთესო საბუთებია ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა მოთხოვნილებათა თანდათანობითი ზრდისა და განვითარებისა.

ტიტე მარგველაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

[1]) სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ საჭირო იყო გამოგვეკვლია ზემო ჩამოთვლილ საწარმაო დარგთა ფინანსიური მხარე, მაგრამ აქ ჩვენ ვიქნებოდით მეტათ საეჭვო ნიადაგზე, რადგან შეუძლებელია ოფიციალ წყაროებიდან ცოტა თუ ბევრად საიმედო ცნობა ამოკრიბოთ ამა თუ იმ დარგის ნაწარმოების ფასისა და ბაზრის ვითარების შესახებ.

[2]) ქუთაისსა, ბათომსა, გუდაუთსა, ზუგდიდსა, ახალ ათონსა, ოზურგეთსა, ოჩამჩირესა, ყვირილასა, ფოთსა და სოხუმში.

[3]) ქუთაისი—ხონი; ახალსენაკი—ზუგდიდი; საჯავახო—ჩოხატაური; ნატანები—ოზურგეთი; ქუთაისი—ხონი.

პრესის მაგიერი

მკითხველს ეხსომება ის სიმტკბილობა, რომელიც ჩამოვარდა სომხურ პრესასა და ქართულ „მეგობარსახალხოს“ შორის ამ სამიოდე თვის წინეთ, როდესაც ბ. იმ-ამმა „მეგობრის“ ფურცლებზე აღუთქვა სომხებს აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარი ნაწილი ბორჩალო-ახალქალაქის მაზრა და ზაქათალის ოლქი. „ჰორიზონი“ აღტაცებული იყო იმ-ამის პოლიტიკური სიბრძნით. ამ სომეხ-ქართველთა „სოლიდარობამ“ დიდხანს არ გასტანა. ბ. იმ-ამს კარგი დღე არ დააყენეს ამ გულუხვობისთვის და მისმა ამხანაგებმაც დაიწყეს მისი საქციელის გამოსწორება. „ჰორიზონმა“ რომ შეხედა, რომ გულუხვი ქართველი პუბლიცისტი მას იმას ჰპირდებოდა, რის გაცემას ქართველი ერი არასოდეს არ დაეთანხმებოდა, ფედერალისტებთან ბოდიშობას თავი გაანება და ამ ქამად ეს „ჰორიზონ-სახალხო-მეგობრის“ კავშირი უკვე დარღვეულად უნდა ჩაითვალოს. ორივე მხარეს თავი მოტყუვილებულად მიაჩნია და მათ იერიშებს და მუქარას დასასრული არ უჩანს. ბ. იმ-ამი „ჰორიზონთან“ შეთანხმებას სამი მაზრის დათმობით, შედარებებით მოგვითხრობს:

„წარმოიდგინეთ საქმე გაქვთ დიდ ვაჭართან ანა და დიდ კომისსიონერთან. მოლაპარაკება გამართეთ საქონლის გაყიდვის შესახებ და მორიგდით ერთმანეთთან შეთანხმებითა და შეძლებისადაგვარათ დათმობით. მეორე დღეს უკვე პირობები უნდა დასწეროთ. მობრძანდება ის ვაჟბატონი, რომელიც გუშინ დაგეთანხმათ და აპირობს. რამენაირად საქმე ჩაფუშოს. ათასგვარ ხრიკებს მიმართავს, ბოლოს წამოვარდება და გავარდება გარეთ. თქვენ ვერ გაგიგიათ რა ამბავია. მრე ტყობილობთ, რომ თურმე ამ თქვენ კომისსიონერს თქვენგან რომ გასულა იმ საღამოს უფრო იაფათ უშოვია საქონელი და პირდაპირ ვერა გითხრათ რა და უეცრად შესწყვიტა თქვენთან საქმე.“

საგულისხმოა, რომ ამ ხალხს როგორც პოლიტიკა, ისე პოეზიაც ფუტურისტული აქვს. მოგითხრობთ სამშობლო ქვეყნის ნაწილების გაცემას და ამ მოვლენას საპნის, ან მარილის ყიდვას ადარებს. მორიგება საქონელზედ, ვაჭარი, კომისიონერი და სხ.— მოდით და არწმუნეთ ეხლა ეს ჩვენი პოლიტიკოსები, რომ ასეთ შედარებებში არავითარი პოეზია არ არის და ყოველ გონიერ ადამიანში უსიამოვნების გრძნობას გამოიწვევს...

„ჰორიზონს“, რომელმაც იმ-ამთან ვაჭრობაზე ხელი აიღო საქმე ჩაფუშა და გარედ გავარდა, ჩვენი დიპლომატი ასე მიმართავს:

„რაკი „ჰორიზონი“ ომს გვიცხადებს და ბრძოლის გუნებაზეა, ჩვენც უნდა მოვემზადოთ, რათა შესაფერისათ დავხვდეთ.

ასი წელიწადია საქართველოს ალყა აქვს შემორტყმული, მაგრამ მისი ცხოვრების განვითარება ვერავინ შეაფერხა. დღეს ჩვენ ალარავისი გვეშინიან, „ან სიცოცხლე ან სიკვდილი“ ქართველი ერის იდეალი იყო ყოველთვის და ქართველი ყოველთვის ცოცხალი რჩებოდა, მისი მტრები კი, არა ერთი „გადაჩეხილა უფსკრულ'ში“ და კიდევაც გადაიჩეხება.

ჩვენი მრწამსი შოთას სიტყვებია:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, ამით გვიძლევია ყოველთვის ჩვენი მრავალრიცხოვანი მტრები.“

რა გამოიცვალა ამ ორ თვეში, რომ საუკუნოდ ძმად ნაფიცი მეგობრები ერთმანეთს არ ზოგავენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ. განა „ჰორიზონი“ და მთელი სომხობა ეხლაც ისეთს პოლიტიკას არ აწარმოებს, როგორც წინეთ? განა ამ სამიოდე თვის წინეთაც ცხადი არ იყო, რომ ქართველების დაუზოლოვებელი დათმობაც ვერ დაამყარებდა სასურველ თანხმობას და სოლიდარობას სომხებთან? ფედერალისტები ჩვენ გვიკიჟინებდნენ, კაცის მჭამლებათ გვხატავდენ. ეხლა კი სომარ ჰანგებს მღერიან.

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

ახალი ამბავი

◆ **საქალაქო დუქნები.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, მოაწყოს თბილისის სხვა და სხვა უბანში საქალაქო დუქნები, სადაც გაიყიდება პირველ საჭიროებათა საქონელი.

კავკასიის სააგარაკო საზოგადოებას განზრახული აქვს რიგიანად მოაწყოს თბილისის მადნეული წყლების აბანოები. საზოგადოებას ამ დღეებში კრება ექნება, რომელზედაც უნდა შემუშავდეს დებულებანი ამ საგნის შესახებ.

◆ **წერა-კითხვის** საზოგადოების გამგეობამ შესწორებული და შევსებული პროექტი საზოგადოების წესდებისა დაუგზავნა განყოფილებებს. ფოთის განყოფილებას მოუწონებია პროექტი. გამგეობას საჭიროდ მიაჩნია, დანარჩენმა განყოფილებებმაც არ დააგვიანონ პროექტის დაბრუნება, რათა დროზე მოიწვიონ საგანგებო კრება პროექტის განსახილველად.

◆ **სასანიტარო ზედამხედველობა.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის განკარგულებით დაწესდა სანიტარ ექიმთა და ფერშალთა მორიგეობა თბილისის ბაზარზე. ამათ თვალყური უნდა ადევნონ ბედნიერ დღეებში გასასყიდ სანოვაგეს.

◆ **ტყვეების დამხმარე კომიტეტისათვის** მარტის განმავლობაში დახმარება უთხოვია 563 პირს.

◆ **სახელმწიფო სესხი.** ამ ორი კვირის განმავლობაში სახელმწიფო ბანკში და 17 მის ხელქვეითთ ხაზინაში 2.375,000 მანეთზე მოუწერიათ ხელი. სავაჭრო ბანკში 850,000 მან., ვოლგა-კამისა--390,000 მან., კავკასიის ბანკში—500,000 მან., აზოვ-დონისაში—400,000 მან., პირველ საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ბანკში—150,000 მან., მეორეში—100,000 მან., რუსეთის საკრედიტოში 70,000 მან., სამეურნეო ბანკში—90,000 მან. და მალაკნების შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში 17,000 მანეთზე.

◆ **მშობელთა წრე.** კვირას, 3 აპრილს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში ამავე გიმნაზიის მოსწავლეების მშობელთა წრის კრება განაგრძობს თათბირს.

◆ **წლიური კრება.** დღეს, 1 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სამუსიკო სკოლის დარბაზში ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრებაა, რომელზედაც საზოგადოების 3 წარმომადგენელი უნდა აირჩიონ ქართულ საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირისათვის.

◆ **მილოცვა.** ხვალ, 2 აპრილს, ნაშუადღევს 2 საათ. 30 წ., ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ქალაქის გამგეობა და საბჭოს ხმოსნები მიულოცავენ ქალაქის სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორს ექ. გ. ნ. სტეფანოვს 25 წლის შესრულებას მისი მოღვაწეობისა ქალაქის თვითმართველობაში,

◆ **გადმოხვეწილნი.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების კომიტეტს სარაყამიშიდან ატყობინებენ საჭიროა დროებითი თავშესაფარების და საზოგადო პუნქტის დაარსება, გადმოხვეწილ სომეხთათვის, რომელნიც ბლომად მოილტვიან აზრუმის ვილაეთიდან.

◆ **სამხედრო გადასახადი წარმოდგენებზე.** რუსეთის საიმპერატორო სათეატრო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რათა სრულიად მოიხსნას სამხედრო გადასახადი იაფფასიან ბილეთებზე.

◆ **კოოპერატ. ამხ. „მეურნემ“** ბაქოში დაიკვეთა რამდენიმე ვაგონი სანოვაგე, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს.

◆ **დაბრუნდა** თბილისში გორის ეპისკოპოსი ანტონი.

◆ **მევენახეობის და მეღვინეობის** კომიტეტის სხდომა 5 აპრილსაა დანიშნული 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. საადგილ-მამულო კომისიის დავალებით მთავარ ინსტრუქტორს ბ-ნ ი. ო. იოსელიანს დაუთვალიერებია ამ კომისიის მამული ს. კიონეთში, ბორჩალოს მაზრა, და მოხსენება წარუდგენია.

◆ **ხარფუხის კლუბის პრეზიდიუმი** უკვე არჩეულ იქმნა—დ. მ. დუმბაძე, მის ამხანაგად ი. ვ. არდაზიანი, ხაზინადრად ალ. ს. ლორთქიფანიძე, მდივნად ა. ი. ადამიძე.

◆ **„კრუჟოკის“ შენობის** აგება მოკლე ხანში დამთავრდება. ქალაქის გამგეობა ორი კვირის შემდეგ უკვე აპირებს საჭირო დუქნების გაქირავებას.

◆ **ე. ნ. ხეილანოვის სულის** მოსახსენებლად, განსვენებულის ძმებს სომეხთა სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ 25.000 მან. შეუწირავთ.

◆ **ჟანდარმის გვამი.** სოღანლუღის ხიდთან მტკვრის პირად პოლიციას აღმოუჩენია თბ. სადგურის ჟანდარმის ნ. სერებრიაჩენკოს გვამი, რომელსაც ტანისამოსი სცმია და იარაღიც ზედა ჰქონია. ჭრილობა თავში აღმოჩენია.

◆ **შემოიტანეს თბილისში** 30 მარტს: ფქვილი 35 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ქატო 9 ვაგ., შეშა 22 ვაგ., ნავთი 10 ვაგ.. ხე-ტყე 1 ვაგ., ღვინო 4 ვაგონი.

თამარის დღე

„განათლების“ საზოგადოებასთან არსებულმა ქართველ ქალთა სამოსწავლო სემინარიის დაარსების დამხმარე კომიტეტმა შემდეგი შინაარსი მოწოდება დაუგზავნა ქართულ დაწესებულებათ პროვინციებში:

ქართველ ქალთა სემინარიის დამხმარე კომიტეტი 1 მაისს, სემინარიის ფონდის გასაძლიერებლად, იდღესასწაულებს თამარის დღეს და ამისათვის თბილისის ყველა თეატრებსა და აუდიტორიებში გამართავს ისტორიულ დილას, თამარის ხსოვნის აღსანიშნავად. კომიტეტი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ დღესასწაულს მიეცეს ფართო ხასიათი, რისთვისაც საჭიროა, ასეთი დღესასწაული გაიმართოს ჩვენი სამშობლოს დანარჩენ კუთხეებშიაც. დარწმუნებული ვართ, ჩვენს მიზანს თქვენც თანაუგრძნობთ და ამიტომ გთხოვთ, იკისროთ ამ დღესასწაულის გამართვა თქვენს ქალაქში. გთხოვთ გაგვიზიაროთ ამ საქმის შესახებ თქვენი მოსაზრებანი, რის შემდეგაც, თუ თქვენი სურვილიც იქნება, მოგაწვდით დღესასწაულის გასამართავად ყოველ გვარ მასალას, რაიც ჩვენ ხელთ არის.

კომიტეტი დღესასწაულის გამართვას აპირებს შემდეგის პროგრამით: 1) ლექცია ა. ნატროშვილისა, 2) მოძრავი სურათი—თამარის ტახტზე ასვლა, 3) ლექსები, 4) მომღერალთა გუნდი, 5) მოძრავი სურათი—თამარის ნადიმი, 6) გრ. რობაქიძის სიტყვა, 7) აპოთეოზი.

საყურადღებო ამბავი

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ცნობა მოუვიდა, რომ შარშან აპრილში გარდაცვლილ თავ. ვახტანგ გურიელს მთელი თავისი უძრავი ქონება უანდერძებია წერა-კითხვის საზოგადოებისთვისო. ცნობის მომწოდებელი ურჩევდა გამგეობას მიეღო ღონისძიება, რომ ანდერძი ვადის გასვლამდე დამტკიცებულიყო და ამ საგნის შესახებ მოლაპარაკება გაემართა განსვენებულ ვახტანგის მემკვიდრეებთან. გამგეობამ მაშინვე მოიწვია კრებაზე გამოცდილი იურისტები და მათის დადგენილების თანახმად საგანგებო მოციქულები გაგზავნა სუფსაში განსვენებულ თავადის მემკვიდრეებთან. მოციქულებად არჩეულ იყვნენ ბ-ნნი ვ. ბურჯანაძე, კიტა აბაშიძე და ს. მდივანი. მოციქულები წარუდგნენ განსვენებულ ვახტანგის ქვრივს, კნეინა ჯახანა გურიელს დადიანის ასულს და მოლაპარაკება გამართეს მასთან. კნეინა ჯახანას განუცხადებია მოციქულებისათვის: ანდერძის დამტკიცებისა და იმ ვალის გასტუმრების შემდეგ, რომელიც მამულს აწევს, იგი დიდი სიამოვნებით სისრულეში მოიყვანს თავისი საყვარელი მეუღლის სურვილს. ქუთაისის ოლქის სასამართლო ამ დღეებში დაამტკიცებს ანდერძს. თავად ვახტანგის საკუთრებას შეადგენს: სახლი, სადუქნე მიწები სუფსაში, სახნავ-სათესი მიწები, ტყე და საბალახე ადგილები. მთელი ეს ქონება ეღირება არა ნაკლებ 60 ათასი მანეთისა. განსვენებულს შვილები არ დარჩენია.

ფრიდონოვის შაბიამანი

პირველად ჩვენმა თანამშრომელმა ბ. ლეომ „საქართველოს“ № 53-ში განაცხადა: ბ. ფრიდონოვმა, რომელსაც რამოდენიმე ათასი თუმანი წვრილ კრედიტ. ამხანაგობების ბეი უკავია, რომელმაც ვალად იდო შაბიამანი გამოეწერა და დაერიგებინა სოფლელებისთვის, თვეზედ მეტია რაც მიიღო და თავის ნებაზედ ანაწილებსო. ფრიდონოვის შაბიამანიო, ირწმუნებოდა ბ. ლეო. მუშტრების ხელში ჰქრებაო.

ამის საპასუხოდ ჩვენივე გაზეთის № 56 მოთავსებული იყო ფრიდონოვის საქმის გამგე სვიმონ ხუნდაძის მცირე განმარტება, სადაც უკანასკნელი უარს ჰყოფდა ბ-ნ ლეოს ბრალდებას.

„საქართველოს“ № 68 დაიბეჭდა ვრცელი წერილი ბ. სვიმონ ქვარიანისა „შაბიამანი“, სადაც პატივცემული ავტორი იმეორებს და ადასტურებს ბ. ლეოს ბრალდებას. „შარშანვე ინგლისიდან არხანგელსკში მოსულა დიდი პარტია, დაახლოვებით 110 ათასი ფუთი და ეს შაბიამანი მიუღია ბ-ნ ფრიდონოვს“. ამბობს ბ. ავტორი.

ეს ამოდენა შაბიამანი, გარდა 25 ათასი ფუთისა, რომელიც უკვე განაწილებული იყო, როგორც ხმა დადის, ფრიდონოვს დაუბინავებია სხვა და სხვა საიმედო ალაგასაო.

რედაქციას ამ წერილის შესახებ საპასუხოდ არავისგან არაფერი არ მიუღია.

გარდა ამისა რედაქციაში ყოველდღე მოდიან სხვა და სხვა სოფლის წარმომადგენლები და ჩივიან ბ. ფრიდონოვზედ. ერთხმად იმეორებენ, რომ ბ-ნ ფრიდონოვს შაბიამანი აქვს და კერძო პირებზე ჰყიდისო. როდის მოეღება ბოლო ასეთს თვითნებობას?!

„ჩვენ და რუსეთი“

ასეთ სათაურით გამოვიდა ცნობილ გერმანელ პუბლიცისტის რორბახის ფრიად საგულისხმო ბროშურა. ავტორი ამტკიცებს, რომ რუსეთი, როგორც ბუმბერაზი სახელმწიფოებრივი ერთეული დიდ საფრთხეს წარმოადგენს ყველა ერისათვის. ამ ბროშურის მთავარ ედა აზრს რორბახი ამყარებს იმ მიწის რეფორმაზედ, რომელიც სტოლიპინმა განახორციელა. ამ რეფორმის შემდეგ, ამბობს რორ ახი, რუსეთი იმდენად გაძლიერდება, რომ შეეძლება მთელი ევროპა დაიპყროსო. რუსის გლეხი თავისი საკუთარი მიწა-წყალით უფრო ძლიერი და მასთან უფრო მორჩილ იარაღად გახდება პანსლავიზმის იდეოლოგებისაო. რორბახის აზრით, ეს საფრთხე რომ ევროპამ თავიდან აიცდინოს, საჭიროა რუსეთი სრულებით განადგურდეს და აილაგმოს დედამიწიდანაო. უნდა წაერთვას ბალტიის და შავი ზღვები, რკინის და ქვანახშირის მადნები და სხვა მდიდარი ადგილებიო. ყველა ამ მოსაზრების განსახორციელებლად, რორბახის აზრით, უნდა დაარსდეს მრავალი პატარ-პატარა ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოები მომავალ მოსკოვის სახელმწიფოს გარშემოო.

საყურადღებოა, რომ ამ ავტორის უცნაურ აზრებს ავსტრიის სოციალ-დემოკრატი პერნერსტორფერიც იზიარებს. რუსეთზეო, ამბობს ეს სოციალ-დემოკრატი, ყოველთვის ლაპარაკობდნენ, როგორც თიხის ფეხებიან ბუმბერაზზედო. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ რუსეთი ორგანიული ერთეული კი არ არის არამედ წარმოადგენს სხვა და სხვა ერებთა კრებულს, მხოლოდ ნაძალადევად შეკავშირებულს. ავსტრიელი ესდეკი ამტკიცებს, ამგვარ მდგომარეობას ვერც კონსტიტუციონური რეჟიმი შესცვლის, ვინაიდან ახალი წესწყობილება მით უფრო გააძლიერებს ნამდვილ რუსთა ბურჟუაზიას და გლეხკაცობასო; ამას კი ყოველთვის თანა სდევს უკიდურესი ეროვნული შეგნება. თუნდაც რუსეთის წესწყობილება ძირიანად შეიცვალოს, სახელმწიფო მართვა-გამგეობა უკიდურეს დემოკრატებს და სოციალ-დემოკრატების ხელში გადავიდეს, რაც ყოვლად შეუძლებელია იმისთვის, ვინც კარგათ იცნობს დღევანდელ რუსეთის საზოგადოების ძალა-განწყობილებას, მაშინაც კი არაფერი ეშველება რუსეთში მცხოვრებ ყველა იმ პატარა ერებსო. ხშირად მოწინააღმდეგენი გვიმტკიცებენ გერმანეთის განადგურებას, უსათუოდ რუსეთის განთავისუფლება მოჰყვებაო. მთელს გერმანეთში არ მოიპოვება არც ერთი სოციალ-დემოკრატი, რომელიც ასეთ სასაცილო აზრს იზიარებდეს. ავსტრიაზედ ხომ ლაპარაკიც კი მეტია. მართალია ავსტრიის ესდეკები არ არიან კმაყოფილნი სამშობლოს წესწყობილებით, მაგრამ მაინც ჩვენ ყველასა ვსთხოვთ ავტრიას რუსეთს ნუ შეადარებენო. ჩვენი სურვილია რაც კი შეიძლება მოშორებით იყოს რუსეთი ავსტრიისაგან.

პერნერსტოფერს სრულებით ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა იყვეს სოციალ-დემოკრატი მომხრე იმისა, რომ რუსეთს დაუბრუნდეს ყველა დღევანდლამდის წართმეული ადგილები. ბევრისთვის საგულისხმოა იცოდეს, თუ რა გვარი იქნება ბედ-იღბალი ყველა ამ დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებისაო. ავსტრიელი ესდეკი, რასაკვირველია, მომხრეა პოლონეთის დამოუკიდებლობისა, მაგრამ ვშიშობ, ამბობს უცნაური სოციალისტი, რომ დღევანდელ პირობებში ეს შეუძლებელია; ამასთანვე მე მომხრე ვარ აგრეთვე უკრაინის დამოუკიდებლობისა“. ესდეკი არწმუნებს მკითხველს, რომ თუ მთელი უკრაინა არა, მისი ინტელიგენცია მაინც სავსებით ემხრობა სამშობლოს აღდგენასო. ასეთივეა პოლონელების, ფინების, ებრაელების და ყველა ერების სურვილიო. თუ ყველა ეს ერები რუსეთის ქვეშევრდომად დარჩებიან, მათ აუცილებლივ სიკვდილი ელისო. ამისი უარყოფა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც ეროვნულ საკითხს უბრალო მეორე ხარისხოვან საკითხად აღიარებს, მაგრამ ვისაც ჩემსავებრ ეროვნება და სახელმწიფო ადამიანის ცხოვრებას დედაბოძად მიაჩნია უსათუოდ ყველაზედ მაღლა ეროვნების ღირებულობას დააყენებს და ყოველთვის იზრუნებს დაიცვას მისი მთლიანობა. ასეთია მსოფლ-მხედველობა ავსტრიელ სოციალ-დემოკრატისა.

წერილი აჭარიდან

(ისტორიული საქმე)

„საქართველო“ს მკითხველებმა უკვე იციან აჭარა-ქობულეთში საქველმოქმედო ქართული საზოგადოების სკოლების გახსნის ამბავი. ახლა მსურს ჩვენი გაზეთის მკითხველებს გაუზიარო ფრიად სასიხარულო ამბავი. დავიწყოთ ქობულეთიდან. როგორც ვიცით პირველი სკოლა გაიხსნა ყოროლის თავში 5 მარტს. ეს სოფელი ბათომიდან აღმოსავლეთით არის მერვე ვერსზე. ამ სოფლის მახლობლად ნახევარ ვერსში ს. ორთაბათომში არის მთავრობის სკოლა, საცა სწავლობს 30-მდე ქალ-ვაჟი. ჩვენს სასწავლებელში კი მოწაფეთა რიცხვი სამოცია (36 ქალი, 24 ვაჟი). აქაური სკოლის მასწავლებლები არიან ქ. ქ. ელენე ციცქიშვილი და პელაგია გელაშვილი, რომელთაც ადგილობრივ მცხოვრებთა პატივისცემა უკვე დაიმსახურეს და ჯერ-ჯერობით საქმესაც გატაცებით და ერთგულად ასრულებენ. საღამოობით და ჯუმა დღეს ასწავლიან დიდრონებსაც. სამწუხაროდ სკოლის შენობა მეტ მოწაფეს ვერ დაიტევს.

ხუცუბნის სკოლა.

ხუცუბნის სკოლას ახლო (4—5 ვერსზე) აკრავს დ. ქობულეთის ორკლასიანი სკოლა. არსებული სკოლით რომ ვერ სარგებლობდნენ მცხოვრებნი და რომ სწავლის სურვილი დიდი იყო ეს იქიდან სჩანს, რომ სკოლას დაარსების დღიდანვე (აკურთხეს 6 მარტს) აუარება მსურველი მოაწყდა. 6—7 წლის ქალ-ვაჟები უადგილობის გამო არ მიიღეს. დღეს სკოლაში სწავლობს 127 მოწაფე (82 ვაჟი, 45 ქალი). მასწავლებლები ქ. ქ. ბაბო ბრეგვაძე და თამარ დარეჯანაშვილი, შრომის იშვიათ უნარს იჩენენ და საღამოობით ასწავლიან 45 ქალსა და კაცს. მათში ზოგი ქმრიანი და ცოლიანია. 15—17 წლის მოწაფეები პატარაებიდან გამოყვეს და წერა-კითხვას დიდრონებთან ერთად ასწავლიან. სკოლის შენობები აქაც დაქირავებულია და მოუხერხებელი. როგორც ხედავთ აქ საჭირო ყოფილა არამც თუ მესამე მასწავლებელი, არამედ მეოთხეც კი არ იქნება ზედმეტი. მართალია მასწავლებლები ძალღონეს არ ზოგავენ, მაგრამ შეუძლებელს ვერც მით მოვთხოვთ. წარმოუდგენელია ორი მასწავლებელი გაუძლევს 127 მოწაფეს და კიდევ შესძლოს საღამოს კურსების მოწყობა.

ალამბარის სკოლა.

სოფ. ალამბარი გურიაზე ახლოს არის. სამინისტრო სკოლა არ არის. სკოლა აკურთხეს 28 მარტს. ადგილობრივი მცხოვრებნი არც ხუცუბანში და არც ყოროლის თავში სკოლის კურთხევას იმდენი არ დასწრებია, რადგანაც იქ დაესწრო. ხალხი სკოლის გახსნას დიდი აღტაცებით შეხვდა. სკოლას დროებით დაუთმეს „მედრესე“ (ჯამეს—სკოლა) ჯერჯერობით (ანგარიში 20 მარტის არის) სწავლობს 60 ვაჟი და 40 ქალი. მასწავლებლებათ არიან ქ. მარიამ კალანდაძე და ბ. სტეფანე ნიკოლაიშვილი, რომლებიც დიდრონებთანაც მეცადინეობენ საღამოობით. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაურ სკოლას თვით ალამბრელები უპირებენ ჰპირისუფლობას. უკვე ეძებენ სკოლისთვის შესაფერ მიწას და სახლს და სურვილი გამოსთქვეს სკოლის აშენებაში, თუ აშენებული შენობის მოტანაში თვით მიიღონ მონაწილეობა. ერთი სიტყვით სკოლას ისე შეხარიან, რომ ყველაფერს ამ სკოლისა და მისი მასწავლებლებისაგან გამოელიან. სხვათა შორის მასწავლებლებს დაავალეს სოფლის საჭიროებისათვის შეიძინონ აბრეშუმის ჭიისა და ბოსტნეულის თესლი. ძლიერ კარგს ინებებს საქველმოქმედო საზოგადოება თუ მცხოვრებთ აბრეშუმის ჭიის სალ თესლს მიაწოდებს ზომიერ ფასებში.

ეს სამივე სკოლა ქობულეთის რაიონშია.

[illegible] აჭარის სკოლები.

სოფ. ჩხუტუნეთი მაჭახლის ხეობაშია. ეს ხეობა შეადგენს ერთს—ხერთვისის სამამასახლისოს. ომამდი ამ საზოგადოებაში ითვლებოდა 996 კომლი. დღეს მცხოვრებთა და ხალხთა რიცხვი განახევრებულია, სკოლა არ აქვთ. საზოგადოების ქართული სკოლა გაიხსნა 12 მარტიდან სოფ. ჩხუტუნეთში. ჯერჯერობით სკოლაში მიაბარეს 40-მდე მოწაფე: სკოლას არც პარტა აქვს და არც შესაფერი შენობა. აქ მასწავლებლად არის ბ. ნიკო ქამუშაძე.

ქვემო აჭარა.

ქვემო აჭარას ს. ქედას აკრავს 6 ვერსზე. ქედაში ორ კლასიანი სკოლაა, საცა სწავლობს 47 მოწაფე. (40 მოწაფე ჰყავს უმცროს მასწავლებელს მაკარი კოპალეიშვილს, 7-კი ზედამხედველ ბ. იორდანიდის). მეორე სკოლაა, სოფ. მახუნცეთის აგარაზე დაშორებულია 10—11 ვერსით. მახუნცეთის სკოლაში 30-მდე მოწაფეა. აგარის სკოლა აკურთხა სამმა ხოჯამ 18 მარტს. სკოლის კურთხევას დაესწრო ცხმორისის საზოგადოების მწერალი ბ. ლევ. მიმ. მენაბდე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას განუმარტა სკოლის მნიშვნელობა და ურჩია სკოლის შენობაში თვით ადგილობრივ მცხოვრებთაც მიეღოთ მონაწილეობა. აგარელებმა სურვილი გამოთქვეს სკოლის შენობას შეაწიონ მასალა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ლ. მენაბდე 18 წელიწადია აქ მსახურებს და ხალხის სიყვარული და ნდობა აქვს დამსახურებული. ქედის რაიონში ისავრცელებს ქართულ გაზეთებს და წიგნებს, ამ სკოლის გახსნაზედაც დიდი შრომა მიიღო. აგარის სკოლაში პირველ დღესვე ჩაეწერა 35 მოწაფე. აქ მასწავლებლად არის სასულიერო სემინარიელი ბ. ნიკიფორე გეგელია.

ზემო აჭარაში.

ზემო აჭარაში სკოლა უნდა გახსნილიყო სამეურნეო განყოფილებით დ. ხულოში და პირველ დაწყებითი კი ზემო აგარაში (ღორჯამის სამამასახლისოშია). სკოლის მომწყობლებმა ბ. შ. ი. დ. გულისაშვილმა და არ. ს. წითლიძემ, როცა ჩხუტუნეთსა და ქვემო აჭარაში მოაწყვეს სკოლის გახსნის საქმე მერმე ეწვივნენ დ. ხულას. აქ მათ ბევრი ეცადნენ სკოლისათვის შეეძინათ 4—5 დესიატინა მიწა, მაგრამ სამწუხაროთ ჯერჯერობით ეს არ მოხერხდა. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ ერთად ამდენი მიწა (ერთი კაცის საკუთრებათ) იშვიათია და თუ აღმოჩნდა მიწა ოქროს წონად შეაფასებენ. ამ გარემოებამ ხელმძღვანელებს აფიქრებინა სამეურნეო სკოლა სხვაგან გაეხსნათ და კიდეც გამართეს მოლაპარაკება ს. დიდ აჭარლებთან და სოფ. ფურთიოში. ამ რიგად თუ სად გაიხსნება სამეურნეო სკოლა ჯერ გამოურკვეველია. დიდი აჭარაც და ფურთიაც ორივე კარგი ადგილია, მაგრამ სამეურნეო სკოლისთვის თვალსაჩინო (სადემონსტრაციო) ხასიათი უნდა ჰქონდეს და ამ მხრივ-კი ხულო ყველაზე მაღლა დგას. სრული იმედია თვით ხულოელები ღრმათ დაფიქრდებიან და ისევ ხულოში გამონახავენ საკმაო მიწას. დიდი სირცხვილი იქნება ხულოს ეგ ძვირფასი სკოლა რომ ასცდეს.

აპ. წ—ძე.

(დასასრული იქნება)

სოფლად

II ნაწილი.

4. მამასახლისი იოსებ ქურდოვანიძე.

სოფ. სავარეჯო ეს ერთად-ერთი სოფელი ერთეულ სამამასახლისოს წარმოადგენს. სავარეჯოს ოცის თავები 50 კაცია და მეტის ხმით იოსებ ქურდოვანიძე აპოარჩიეს, თუმცა მაზრის უფროსთან დასმენის ქაღალდები აფრინეს, ამას ადმინისტრაციამ ყურადღება არ მიაქცია და დაამტკიცა.

როგორც გავიცანი მამასახლისი იოსებ ქურდოვანიძე, ჩვენი ზემო ქართლის მამასახლისებს, რომელნიც ერთი ყაიდისანი არიან, სრულებით არ მიაგავს.

ჭალარა-შერეული შუახნის კაცია, სწავლა არსად მიუღია, მხოლოდ სოფლის სკოლაში წერა-კითხვა უსწავლია. ჟურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებს და მისი გულის-ყური იქითკენაა მიმართული, რომ სოფელს რამე სასარგებლო საქმე მოუტანოს, მთელი მისი მისწრაფება ის არის, რომ სოფელი წარმატებისაკენ წაიყვანოს.

ჩაიბარა თუ არა საქმეები იოსებ ქურდოვანიძემ, პირველადვე სადგურიდან საგარეჯომდის შეუდგა გზა-ტკეცილის გაყვანას. ამის გამო მოახდინა კრება, რომელზედაც დაესწრნენ ყველა გლეხები, სასულიერო პირნი და აზნაურები. კრებამ დაადგინა: ყველამ შეძლებისა და გვარად ერთი მანეთიდან სამ თუმნამდის გამოიღოს გზის დასამუშავებლად. შეძლებულებმა და აზნაურიშვილებმა იუარეს, მაგრამ მათ იოსებ ქურდოვანიძემ განუმარტა გზის მნიშვნელობა და მასთანვე გამოუცხადა, თუ მონაწილეობას არ მიიღებს, გზა-ტკეცილზედ გავლაში თითო შაურს გადაგახდევინებთო; ამის შემდეგ ესენიც დასთანხმდნენ.

დღეს გზა-ტკეცილს მუშაობენ, ვინც მუშაობს ის ფასს იღებს, ვისაც შეუძლიან ხარ და კამეჩით, ან მუშით—იმ ფულში უნდა იმუშაოს, რაც შეწერილი აქვს.

შეძლებულებს არ ეჭაშნიკათ, რომ იგინი ხარ და კამეჩს ბეგარაში გაირეკენ.

აი, ამის გამო ერთმა შეძლებულმა სომეხმა პეპანოვმა სთხოვა იოსებ ქურდოვანიძეს:—ოღონც ჩემს ხარ და კამეჩს ბეგარაში ნუ გაგზავნი და მეტს გადავიხდიო“.

მამასახლისმა უთხრა:—ყველა ეგრე მოინდომებს და ფული ხომ არ იმუშავებსო?

— მარტო ჩემით რა იქნებაო.

— შენ რომ არ გამოგიყვანო, სხვებიც აგრე მოინდომებენ და, ხუ გეწყინება, უარს გეუბნები, შენი ხარი და კამეჩი უნდა გამოვიდეს.

ამ ერთ თვეში გზის გაყვანას დაასრულებენ.

რაც შეეხება ფულის ანგარიშს, როგორც საერთოდ ყველგან, აქაც—ფული ხომ თაფლია, ყველას ხელი ეყო შიგ და ილოკავდა.

ის საერთო შემოსავალი სულ საბალახე ფული—8,000 მან. დღემდის ნახევარს არ უჩვენებდნენ სოფელს და ეს ნახევარიც სწორედ არ იხარჯებოდა და თითო კომლს კიდევ გამოჰქონდა სოფლის მოხელეებს შესანახად თავის სახლიდან.

იოსებ ქურდოვანიძემ სთქვა, ეს აღარ იქნება, სანამ მე ვარ და ჩემი სურვილია, რაც სოფლის მოხელეებს გადარჩება, დანარჩენი სასარგებლო საქმეს უნდა მოვახმაროვო.

კეთილი! შესრულება ამ საქმისა ღმერთმა გისმინოს!

ჰავა უკეთესი არ შეიძლება და სოფელი ყოველგვარ ეპიდემიურ ავადმყოფობას მოკლებულია.

მხოლოდ უწყლობას განიცდიან პატარძეულელები და მათ ყოველ კარების წინ ჭები აქვთ ამოყვანილი. ერთი პატარა ხევი ჩამოუდის სოფელს და არავის ჰყოფნის.

პატარძეულის მდებარეობა სოფ. საგარეჯოსას სჯობს, უფრო შნოიანი და ლამაზი სოფელია, შენობები უკეთესია, ქვითკირის ორ-სართულიანი გძელი აივნით გაჭყურებს სოფელს, კრამიტით წითლად შელამაზებული, შიგა და შიგ ვენახებით შემკული—ერთობ სოფელს ამშვენებს.

პატარძეულის სამამასახლისოს შეადგენს: ხაშმი, პატარძეული, ბერთუბანი და ალბულაღი.

სოფ. პატარძეულში ითვლება 560 კომლი გლეხი, ამათში მხოლოდ 10 კომლი უმამულოა, აზნაურებიც ითვლება 12 კომლი. სხვა ეროვნება არ ურევია.

პატარძეულის მამული შეადგენს: მდ იორს გაღმა „პატარძეულის მინდორი“ ზომით არის 4868 დეს., იორს გამოღმა პატარძეულის მამული შეიცავს—2610 დეს. აზნაურებსაც უჭირავთ—156 დეს.

ეს მამული, ესე იგი, 7478 დეს. ეკუთვნის პატარძეულელებს და ბერთუბნელებს, ამათში უვარგისია, ჯაგნარი და ლაშე—1500 დეს., 400 დესეტინაც ჩამოუჭრეს პატარძეულელებს და რუსები დააყენეს, ამაზე ქვევით მექნება ლაპარაკი, მაშასადამე თითო კომლს მოსდის 7 დესეტინა მამული.

ტყე სახაზინოა, უფლება არა აქვთ მოიხმარონ საშინაოდ.

სარწყავი ადგილები არა აქვთ და მეტად შეწუხებულნი არიან უბოსტნეულობით.

დღიური სახნავი ღირს 50—100 მან. მოსავალი მოდის ერთ დღიურ სახნავზე 50—60 ფუთი ჭირნახული. მუშა ხელის სიძვირის გამო ბეითალმანათ ბევრი რჩება.

მამულის სახაზინო გადასახადი პატარძეულელებს შეწერილი აქვთ—4570 მან., ამას გარდა სოფლის მოხელეების შესანახად იხდიან: მამასახლისისა—600 მან., ორი მწერლისა—1280 მან., ჩაფრებისა—ორი—600 მ., გზირისა—180 მან., სახლის ქირა—30 მან., მოსამსახურეებს—150 მან., კანცელარიის ხარჯი—180 მან. და მოულოდნელი ხარჯისთვისაც აქვთ გადადებული—400 მან. სულ სოფლის ადმინისტრაციაზედ იხარჯება 3690 მან.

ამას გარდა სოფელი იხდის სკოლის შესანახად სახლის ქირა და მოსამსახურისა—205 მან., ტყის ორი ყარაულისთვისაც—160 მან.

ეს ყარაულების გადასახადი დაკისრებული აქვს სატყეო უწყებისაგან. პატარძეულელებთან საუბარი მქონდა, სხვათა შორის მითხრეს:—უმამულობას განვიცდით, ერთი დღიური სარწყავი ადგილი არა გვაქვს, რომ პომიდორი მოვიყვანოთ, და თუ სადმე მამული აღმოჩნდება გასაყიდი ჩვენს დასამხრისად, გავიყიდებით და არავის დავანებებთო.

— ჩვენში მოიპოვებიან ისეთი ოჯახები, რომელსაც შეეძლებათ გამოიტანონ ას-ასი თუმანი, მოკლედ მოგახსენებთ სოფელს შეუძლიან არა ნაკლებ 25—30 ათასი მანეთის გამოტანა.

— ამას გარდა მაღაზიის ფული გვაქვს ხელუხლებელი და ჩვენი წვრილი კრედიტისგანაც შეგვიძლიან ვისესხოთ 25 ათასი მან.

— ჩვენ ფულზედ უკან არ დავიწევით, მხოლოდ მამულს ვეძებთ, სარწყავი მამული გვინდა, რომ სიცხე-პაპანაქებაში კიტრით პირი გავისველოთ ხოლმე.

„დრეიძე“ ნოვოგიორგევსკი

პატარძეულის მამულის ფარგალში შედიოდა ადგილი „დრეიძე“ და მათი სალოცავი წმ. გიორგის ეკლესია.

ამ რვა წლის წინად ჩამოუჭრეს 400 დესეტინამდის და ზედ დაასახლეს 14 კომლი რუსი და თითო მამაკაცს მოუზომეს, რამდენიც იქნებოდა ოჯახში—6 დესეტინა მამული.

ეს ახლად დასახლებული რუსები პატარძეულელების ძველ სალოცავ წმინდა გიორგის ეკლესიასაც დაეპატრონენ და ახლად დასახლებულ სოფელს დაარქვეს „ნოვოგიორგევსკი“.

გადმოსახლების მმართველობამ დასახლებისთანავე ხელი შეუწყო და თითო კომლს მიეცა 150 მან. გასამართავად და ადმინისტრაციამაც გზატკეცილი გაუყვანა საერობო თანხიდან, ყოველ მხრივ ხელს უწყობდნენ.

სახაზინო ტყე, რომელსაც პატარძეულელებს ეკუთვნოდა, ესენი დაეპატრონენ და სარგებლობენ როგორც სრული მამულის მეპატრონენი.

პატარძეულელებისაგან შენახული და გაზდილი მუხის ტყე ძირს დასცეს, უწესრიგოდ მიჩეხ-მოჩეხეს, ვინ რამდენს მოასწრებდა, ეზიდებოდა გასაყიდად.

პატარძეულელებს წკნელის მოჭრაც მოესპოთ, მეტი ღონე არა ჰქონდათ ისევ ამათგან ეყიდნათ, ისიც რის ხვეწნა მუდარით მათგან ხეტყეს ყიდულობდნენ.—თუ არაყით—პურით ან ძღვენით მივიდოდით მაშინ გვეღირსებოდა მათგან ყიდვა, დააბოლავეს პატარძლეულებმა.

ასე ამრიგად ახალი მებატონეები ტყისა გაუჩნდნენ პატარძეულელებს, დაწყის-დაბადებამდის მათ ბატონი—მამულის პატრონთ არა ჰყოლიათ და არც უგვრძნიათ და განუცდიათ ის, რაც სხვაგან მემამულეებისაგან განიცდიან გლეხები.

ნოვოგიორგევსკის მღვდელსაც მიუზომეს 20 დეს. მამული; წინანდელმა მღვდელმა ხომ ტყით ბევრი ისარგებლა და მისი მოადგილეც მას მისდევს. ვინა ჰყავს დამშლელი? რატომ არ უნდა ისარგებლონ? უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, ნათქვამია ძველთაგან და ჩვენი ხალხიც უფლება აყრილია, ყველა ეპატრონება.

ნოვო-პავლოვკას რომ მამულები უჭირავს, ესეც პატარძეულელების მამულის ფარგალში შემოდიოდა. ნოვოპავლოვკა მდებარეობს მდ. იორის გაღმა მარჯვენა მხარეს, პატარძეულიდან რვა ვერსით დაშორებული იქნება იმ მამულებამდის, რომელიც ნოვოპავლოვკას უჭირავს.

ამას გარდა აზნ. ფიცხელაურებისა იყო მამული „თოხლა-მთა“—200 დეს. ესეც სახაზინოდ დარჩა ბევრი დავიდარაბის შემდეგ.

მოიჯარადრე გულისაშვილი და შეშის ზიდვა თბილისში.

პატარძეულის სახაზინო ტყიდან მოიჯარადრე გულისაშვილი პირობით შეკრულა, რომ სადგურ ნავთლუღში ჩააბაროს შეშა საჟენობით ჯარისთვის.

ადმინისტრაციის დახმარებით და ძალ-დატანებით გულისაშვილმა პატარძეულელებს ჩაატანინა 60 ურემი შეშა სად. ნავთლუღში.

ხუთი დღე მოუნდნენ ტყიდან ნავთლუღამდის მისვლა-მოსვლას. თითო საჟენ შეშას ხუთი ურემი უნდება.

გულისაშვილი ნავთლუღამდის ჩატანაში თითო საჟენზედ აძლევს 40 მან. მაშასადამე ურემმა უნდა აიღოს რვა მანეთი, რომელსაც დღეში მოსდის ყევარ ხარ და კამეჩზედ ერთ ურემს—1 მ. 60 კ. მერე ისიც ტყიდან სოფლამდის დიდის წვალებით ჩამოაქვთ.

როდესაც 60 ურემი ჩაიტანეს ნავთლუღში პატარძეულელებმა 40 მან. მაგიერ—30 მან. მისცა თითო საჟენში, თითო თუმანი დაუჭირა, როდესაც მეორეთ ჩამოიტანთ, მაშინ მოგცემთო.

ამათ მიმართეს სართიჭალაში მომრიგებელ შუამავალს თ-დ მ. დ. ამილახვარს, მაგრამ ამანაც გარკვევით არაფერი უთხრა.

ესენიც დაღონებულან, კითხულობენ: ვისი ბრძანებით არის, ბეგარაა თუ მოიჯარადრე გულისაშვილის გამდიდრებისთვის უნდა ვზიდოთო? ჩვენ 100 მანეთიც რომ მოგვცენ თითო საჟენში, აბა სადა გვცალიან, სახნავი მინდვრები ნახევარი უხნავი დაგვრჩაო.

ომიანობას ვინც გადარჩა და მუშაობის უნარი აქვს, ისიც ფულსა ხარბდება და შორს სამუშაოდ წასულა, სახლში კი მინდვრები უხნავი ურჩება, ფულსა ხარბდებიან, მაგრამ, რასაც იშოვნიან, იმ ფასათ წლის სარჩოს ვერ იშოვნიან.

პატარძეულელი გლეხები წამოსადეგი ვაჟკაცები ყოფილან, სუფთად ჩაცმულნი, დარბაისელნი, სიტყვა-პასუხის მიმცემნი.

ეტყობათ, რომ მათ მამა-პაპას არ განუცდია ბატონ-ყმობის სიმწვავე, მათ ჩამომავალს კი არ უნახავს ეხლანდელი მემამულეების სიმკაცრე.

აქაური ინტელიგენციაც (შეგნებული გლეხები) დაშინებული ყოფილა, როგორც ზევით მქონდა ნათქვამი, გაურბიან სოფლის საზოგადო საქმეებს.

განა თუ?—უნდათ იმოქმედონ, მაგრამ რაღაც ძველი შიშის ზარი მათ უკან სწევს, ან რად უნდა ეშინოდეთ? კანონის ფარგლებში ლოიალურად იმუშაონ!

ხაშმი.

უამინდობა იყო, წვიმდა. ვერ მომიხდა ხაშმში გადასვლა, მაინც ზოგიერთ ხაშმელებს გამოვკითხე, ბ-ნმა ესტატე ლოლაძემ და ივანე ბაქრაძემ ცნობები მომაწოდეს, რომელსაც ქვევით ვათავსებ:

სოფ. პატარძეულიდან დასავლეთ-ჩრდილოეთისკენ მდ. იორზედ შვიდი ვერსის მანძილზედ მდებარეობს სოფ. ხაშმი.

მცხოვრები ითვლება—300 კომლი და მათი მამული განისაზღვრება სხვა და სხვა დარგის 1200 დეს. და ვენახიც—300 დეს.

ამ სოფელში უფრო შეხვდებით ხეხილს.

კეთილ-შეძენილი აქვთ თ-დ. ჩოლოყაშვილების მამული სამასი დესეტინა, რომელზედაც ბანკის ვალი ადევს 13,747 მ. 90 კ.

სახაზინო გადასახადს იხდიან ყოველ წლივ 4304 მან.

სოფლის მოხელეების შესანახად ხარჯავენ—1500 მან.

დღიური საზრდო მამულიდან შემოდის მოსავალი პური—30 ფუთი, ქერი 40 ფუთი და სიმინდიც ამდენივე.

ვენახი სახელმწიფო ადგილზედ, რომელიც უდრის 250 დეს., დესეტინა ღირს 1000 მან. და საკუთარ ადგილზედ, რომელიც უდრის 50 დეს.—ფასობს 1500 მან.

სოფელში არსებობს წვრილი კრედიტი, სადაც გვაქვს საკუთარი ფული 1115 მ. 59 კ.

არსებობს ერთი სამინისტრო სკოლა და ერთიც სამრევლო სკოლა.

მაღაზიისა გვაქვს—1000 მან. სოფლიდანაც შეგვიძლიან გამოვიტანოთ 9,000 მან.

რადგან უმამულობას განვიცდით, გვაქვს სურვილი მამულის შეძენისა. თითო კომლზედ მოდის ორთა შუა რიცხვით ვენახი—1 დეს. და სხვა მამულიც 5 დეს.

(შემდეგი იქნება)

Legatus.

ცირას „მდელო“

(დასასრული. იხ. „საქართ. № 72.)

პატარა ეფემია მოლაშვილმა ცირას „მდელოსაც“ კი უძღვნა ლექსი:

„მოვიდა გაზაფხული,
ამწვანდი, ველო,
და შენც იხარე
ჟურნალო მდელო“.

როგორც მოთხრობები, აგრეთვე ლექსები “გაზაფხული“ დასურათებულია იით, ვარდით, ახლად შეკვირტული ხეებით, პეპლებით, ბუზებით და სხვა.

შეიძლება, მკითხველო, ჩემი „მგოსნების“ ლექსებმა ჰარმონიულად ვერ დაატკბოს თქვენი სმენა, ვერც ესტეტიური გრძნობა დაგიკმაყოფილოსთ, მაგრამ მათ „ნაწარმოებში“ მაინც ცხადათ სჩანს პატარა ადამიანების განცდანი, დღიური შთაბეჭდილებანი, ნიჭი, და მით უფრო ძვირფასია, ჩვენთვის თუ არა, ცირას „მდელოსა“ და ავტორებისათვის მაინც. ყველა „მასალა“ გაუგზავნე ცირას; თანახმად დაპირებისა, ცირაც გადასწერს მათ და კიდევ სხვა „თანამშრომლების“ ნაწერებს თავის „მდელოში“ და ერთ ნომერს ჩემ მოწაფეებს გამოუგზავნის.

ვისარგებლებ „ცირას მდელოს“ ხსენებით და ვიტყვი, რომ ჩვენ ბავშვებისთვის არ ვზრუნავთ, სრულიად არა; ჩვენი საბავშვო ლიტერატურა ძალზე ღარიბია, გარდა ორიოდე ნათარგმნ საბავშვო წიგნების არაფერი მოგვეპოვება; ეს ჩვენი შეუგნებლობის კი არა, დაუდევრობის ბრალია, არ დავეძებთ, თავს არ ვიწუხებთ... გვაქვს ორი საბავშვო ჟურნალი, გვყავს ორი სამი ბავშვების გულის მესაიდუმლე მგოსნებიც, მაგრამ მე აი კიდევ რას ვიტყვი თამამათ: რაც უნდა ნიჭით იყოს დაჯილდოვებული ბავშვების მგოსანი, მაინც ძნელია მოზრდილთათვის ბავშურის გრძნობის, სულის სავსებით და სისწორით განცდა... მხოლოდ ბავშვი იცნობს ბავშვს კარგად, მხოლოდ ბავშვს შეუძლიან სისწორით აღწერა და განცდა ბავშურის სულის მისწრაფებისა, მისი ლტოლვილებისა... მხოლოდ ბავშვს შეუძლიან ჩასწვდეს თავისი სწორის გულის სიღრმეს, ამისათვის თუ გვინდა ხელი შეუწყოთ ბავშვის თვითშემოქმედების ნიჭს, მისი საკუთარი ინიციაციის განვითარებას, უნდა დავაარსოთ ისეთი საბავშვო ჟურნალიც, რომლის რედაქტორი და თანამშრომლებიც მხოლოდ მარტო ბავშვები იქნებიან. მოზრდილებმა უნდა გაუწიონ დახმარება მხოლოდ ჟურნალის გამოცემის ტეხნიკურ მხარეების მოწყობაში, მაგ. ქაღალდის შოვნა, დაბეჭდვა და სხვა, რომლებიც ბავშვებისათვის სიძნელეს შეადგენენ; ჟურნალის ხელმძღვანელნი იქნებიან ქალაქის სკოლის პატარა ბავშვები, ისინი მოუწოდებენ „თანამშრომლათ“ სოფლის სკოლის ბავშვებსაც და ასეთი საშუალებით ერთგვარი კავშირიც დამყარდება ქალაქისა და სოფლების ბავშვთა შორის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება. ერთი სიტყვით უაღრესი იქნება ასეთი საბავშვო ჟურნალის მნიშვნელობა. ომისაგან შექმნილ პირობების გამო, ამ ჟამად ძნელია ამ აზრის განხორციელება, მაგრამ თუ სურვილი და ენერგია იქნება ყოველივე სიძნელეს სძლევს კაცი. ჟურნალ „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებიც ძალიან გაახარებენ „მგოსან“ ბავშვებს, თუ მოუწოდებენ მათ „თანამშრომლად“ და მათ ნაწარმოებს“ დაუთმობდნენ ჟურნალში ერთ განყოფილებას.

გრ. საქარიქედელი.

დაბა-სოფლები

სოფ. ხაშმი. (თბილისის მაზრა). ხაშმის საზოგადოებამ ამ რამდენიმე წლის წინად საკუთრებად შეიძინა თავად ჩოლოყაშვილებისაგან 300 დესეტინა საუკეთესო სარწყავი სავენახე მინდორი სოფლის მახლობლად 32000 მანეთად. აქედგან ნაღდი ჩააბარა თ. ჩოლოყაშვილებს 14,000 მ. ხოლო 18000 მანეთი სახელმწიფო ბანკის ვალი გადმოიტანა.

რადგანაც ბანკის ვალის განაღდების ვადა მოახლოვდა, ხალხი გაფაციცდა, შეუდგა ვალის გადახდის ზრუნვას. ამ ნაირი მშვენიერი მინდორი, რომ ხელიდგან არ გამოეცალოთ და უცხო პირს არ ჩავარდნოდა ხელში. ამისათვის ხაშმის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ მიჰმართა თავის წევრთათვის მეტად სასარგებლო ხერხს: ყოველ წევრს ასესხა კასიდან ათი თვის ვადით ფული და ამით იშორებს ყოველი წევრი თავის ვალს, ხოლო ვისაც შეძლება აქვს, ვალს იშორებს თავისი საკუთარი ფულით. ხსენებულ მამულზედ ვალი ირიცხება სულ 13747 მ. 90 კ. ასე რომ ყოველი მონაწილე ცდილობს ვალიდგან განთავისუფლდეს, საკუთრად და თავისუფლად იხმაროს თავის კეთილ შეძენილი მამული.

ხაშმში დაარსეს კოოპერატიული პურის საცხობი, მოჰკრიფეს ფული, გაგზავნეს თბილისში ფქვილის სასყიდლად კაცი. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაუთმო ერთი ვაგონი ფქვილი, რომელსაც ფოთიდგან მოელიან და ამ ორიოდ დღეში მიიღებენ.

აქ დიდი სიძვირეა შედარებით სხვა სოფლებთან. პატრონი და ყურადღების მიმქცევი თითქმის არავინ არის. ჩარჩ-ვაჭრები თავიანთ სურვილს ასრულებენ, მესამე ხარისხის ფქვილს ჰყიდიან ფუთს 3 მ. და 60 კ., სიმინდს ფუთს 3 მ. 20 კ., გამომცხვარ პურს გირ. 9 კაპ. ყველს გირ. 80 კაპ. შაქარს გირ. 30 კაპ., ძროხის ხორცს გირ. 40 კ. და სხვა. ხალხი მოთმინებიდგან გამოვიდა მედუქნების ამ ნაირი უსირცხვილო საქციელით, განიზრახეს ჯერ გამოსცადონ კოოპერატიული პურის ვაჭრობა და შემდეგ შეუდგნენ კოოპერატიულ მაღაზიის გახსნას.

ამნაირ სიმპატიურ მოთხოვნილების განხორციელებას და სისრულეში მოყვანას კისრულობს საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა.

ყანებს ძრიელ კარგი პირი უჩანს, თუმცა ნათესი ძალიან ცოტაა.

უშაბიამანობით და უგოგირდობით შარშან ვენახები გაგვიფუჭდა, წლეულს კიდევ ვისაც მივმართეთ ხელცარიელები დავრჩით.

ესტატე ლოლაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	. 8.53 სად.
„	საფ. „	3	. 9.58 დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	. 10.20 სად.
„	ჩქარი „	6	. 12.8 დღის
„	სამგ. „	8	. 11.13 ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	. 11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ. მ.	4	. 9.30 სად.
„	სამგ. „	10	. 9.51 დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	. 9.3 დილ.
„	ჩქარი „	5	. 7.41 სად.
„	სამგ. „	7	. 1.42 ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	. 8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან . .	10 „	42 „	„
იორიდან . . .	11 „	35 „	„
საგარეჯოდან . .	12 „	17 „	„
ბადიაურიდან . . .	1 „	15	დღის
მელაანიდან . .	2 „	37 „	„
გურჯაანიდან .	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან .	4 „	58 „	„
თელავში მიდის .	5 „	35 „	„
გურჯაანიდან .	4 „	18 „	„
კარდენახიდან .	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან . . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . .	9 „	45 „	„
გურჯაანიდან . .	10 „	46 „	„
მელაანიდან . .	12 „	02 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან . .	2 „	15 „	„
იორიდან . .	2 „	53 „	„
ვაზიანიდან . .	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. .	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის .	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან .	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9 „	46 „	„
გურჯაანში მოდის	10 „	16 „	„

ჯეჯილი
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მეშვიდე წელიწადი
ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის
ჟურნალი „ჯეჯილი“
თბილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.
ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.
რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.